სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-09-10/116

ქ. თბილისი 04 09 2020 წ.

უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტების სასწავლო პროცესში ჩაბმის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2020 წლის 14 აგვისტოს MES 7 20 0000692968 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2020/2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტების სასწავლო პროცესში ჩაბმისა და პროცესის უსაფრთხოდ წარმართვისათვის ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელებასთან დაკავშირებული რისკების თავიდან აცილების მიზნით:

ა) დაევალოს უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის დეკანს, არა უგვიანეს 2020 წლის 15 სექტემბრისა, უზრუნველყონ:

ა.ა) უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებთან კომუნიკაცია, მათ საქართველოში შემოსვლასთან დაკავშირებით არსებული რეგულაციებისა და საკონტაქტო პირების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება;

ა.ბ) უნივერსიტეტის შესყიდვების დეპარტამენტის (ე. ივანიშვილი), საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტანდარტების სამსახურისა (ო. ზუმბურიძე) და ამავე სამსახურის საერთაშორისო სტუდენტთა რეკრუტირების ცენტრისათვის (პ. ცინცაძე) უცხო ქვეყნის მოქალაქე იმ სტუდენტების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება, რომელთაც სურვილი აქვთ სწავლა გააგრძელონ 2020/2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემეტრიდან;

ბ) მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, უნივერსიტეტის შესყიდვების დეპარტამენტმა (ე. ივანიშვილი) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2020 წლის 14 აგვისტოს MES 7 20 0000692968 წერილით და ამავე წერილის დანართით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, უზრუნველყოს სტუდენტთა

ტრანსპორტირების, საკარანტინე სივრცეში განთავსების, სამედიცინო პერსონალის მომსახურებისა და სტუდენტთა სამედიცინო დაზღვევის შესყიდვის მიზნით კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება;

გ) უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტანდარტების სამსახურმა (ო. ზუმბურიძე, პ. ცინცაძე) უზრუნველყოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსათვის ინფორმაციის მიწოდება უცხო ქვეყნის მოქალაქე იმ სტუდენტების თაობაზე, რომელთაც სურვილი აქვთ სწავლა გააგრძელონ 2020/2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემეტრიდან;

დ) საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა (დ. მეფარიშვილი) უზრუნველყოს უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტების შემოსვლასთან დაკავშირებით არსებული რეგულაციებისა და მათი შემოყვანისა და საკონტაქტო პირების თაობაზე ინფორმაციის ვებგვერდზე განთავსება და პერიოდული განახლება.

2. იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც სწავლის დაწყებამდე ვერ ჩამოვლენ საქართველოში, მათ ჩამოსვლამდე და სასწავლო პროცესში ჩაბმამდე შესაბამისმა ფაკულტეტებმა უზრუნველყონ სწავლების ონლაინ ფორმატის გამოყენება.

3. ამ ბრძანებით გათვალისწინებული ღონისძიებების ორგანიზება და კოორდინაცია დაევალოს უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტანდარტების სამსახურს (ო.ზუმბურიძე).

4. ამ ბრძანებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების კონტროლის განხორციელება დაევალოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

5. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის უზრუნველყოს უნივერსიტეტის კანცელარიამ.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, #6).

რექტორი **დავით გურგენიძე**